



— უკაცრავად, აქ მტს-ი მეგულებოდა და ფერმაში კი მოვხვდი...
 — არ შემცდარხართ, სწორედ მტს-ია. ჩვენმა დირექტორმა სიფრთხილედ იხმარა და ხარ-კამეჩი. მორეკა: ტრაქტორი რომ ჩაგვივარდეს, ერთი უღელი რას ამოათრევს!

საქართველო

ჭუთაისი
საქ. სსრ საქალაქო და სასოფლო მეურნეობის
სამინისტროს საგარეო უწყისი № 4
მმართველის მოადგილეს

ძვირფასო არჩილ კორნელის-ძე!
დიდი სიხარულით გავიგე, რომ სპორტის მოყვარული ბრძა-
ნებულხართ.

ჭუთაისელებმა ამბავი ჩამომიტანეს—არჩილი ჩვენი პირველი
„ბოლელშეიკიაო“... შარშან მთელ ზაფხულს სტადიონზე დადი-
ოდა, ხოლო როცა ფეხბურთის სეზონი დამთავრდა—თვითონ და-
იწყო სხვადასხვანაირი ასპარეზობის მოწყობა!

თქვენ, თურმე, (მე-4 სამშენებლო ტრესტის მმართველად ყოფ-
ნის დროს) მძლეოსნობის ახალი სახეები მოგვიგონიათ—ტვირთით
ხელში სირბილი და ორმოებზე გადაბტომ-გადმოხტომა. შემოდგო-
მა მიწურული არ იყო, რომ ამ სპორტისათვის საჭირო პირობების
შექმნას შეუდექით—დაიწყეთ შუა ქუჩებში არხების გათხრა. პირ-
ველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ცენტრში—ნინოშვილის, ჯაფარიძის,
გელათის, ბარათაშვილის ქუჩებზე და ა. შ.

ამბობენ, ზოგიერთებს შეეშინდათ—ვაითუ ტრესტმა იჩქაროს,
ამ თხრილებში დაუყოვნებლივ კანალიზაციისა და წყალსადენის
მილები ჩააწყოს, მიწა მიიყაროს და ქუჩის ზედაპირი ისევ გაასწო-
როსო?! მაგრამ სპორტის მოყვარულთ შიში არ გაუმართლეთ:
მრავალი თვე გავიდა და ქუჩებში გათხრილ არხებს აღარ მიკა-
რებიხართ. მცხოვრებლების ენთუზიაზმს არა აქვს საზღვარი—ყვე-
ლას მოსწონს თქვენი ფიზკულტურამოწყობანი. დიდიდან სალამომდე
დიდი და პატარა ორმოებზე გადაბტომ-გადმოხტომაში ეჯობრება
ერთმანეთს (აბა, სახლში მისვლა არ გინდა?!). ძალიან გავრცელებ-
ულია ტვირთით ხელში სირბილიც. ბავშვებიც და მოხუცებიც
შეშას დაარბენინებენ (ქუჩაში ვერც მანქანას, ვერც ურემს ვერ
გაუვლია და ძალაუვნებურად შეშა ხელით უნდა ზიდო სახლში).
ბარაქალა, ძმაო! ფიზკულტ-ვაშა!!

ახლა ალავერდი თქვენი ტრესტის სამშენებლო სამმართველოს
მუშაკებთან, რომლებიც თქვენ ძალიან გაახარეთ ქუჩებში მოწყო-
ბილი ასპარეზობით. სამმართველოს მუშაკები დარწმუნდნენ, რომ
ფიზკულტურა ზამთარში ღია ცის ქვეშაც შესაძლებელია. ალბათ
ამიტომ არ აუშენეს მე-9 საშუალო სკოლას სპორტდარბაზი, თუმცა
საამისოდ საჭირო თანხა 100.000 მანეთი უკვე წელიწადზე მეტია,
რაც მიიღეს განათლების განყოფილებისაგან.

დაბოლოს, ალავერდს გადავდივარ საქალაქო საბჭოს აღმას-
კომის საბინაო სამმართველოს უფროსთან ა. ბელუაშვილთან და
მისი სარემონტო კანტორის უფროსთან ა. ბეჟუაშვილთან. ესენიც,
ჩემო არჩილ, თქვენი მიმდევრები აღმოჩნდნენ. ასე მსჯელობენ: თუ
კაცს ღია ცის ქვეშ სპორტული ვარჯიშობა შეუძლია—ცხოვრებასაც
შესძლებსო... ამიტომაც, რომ თითქმის ხელი აიღეს საცხოვრებელი
ბინების რემონტზე.

ამას წინათ მათი მწარე სადღეგრძელო ქუთაისის გაზეთმა
„სტალინელმა“ დალია; მაგრამ დღემდე სამადლობელი არ გვეს-
მის. გაზეთში ჩამოთვლილ სულის დაფვის სტადიაში ყოფილი სახ-
ლებიდან, სარემონტო კანტორას მეტი წილი ჯერაც არ შეუკე-
თებია.

თუმცა რა ეჩქარებათ?.. წულუკიძის ქუჩის მე-4 ჩიხის № 6
სახლში, ან ლერმონტოვის ქ. № 7-ში ხომ არა ცხოვრობენ, რომ
თავზე ჭერის ჩამონგრევისა ეშინოდეთ?... მით უმეტეს, რომ ქა-
ლალზე ყველაფერი რიგზეა, —საბინაო ფონდის რემონტის თვიურ
გეგმას თურმე 500-600 პროცენტით ასრულებენ!

გინდ დაიჯერეთ, გინდა ნუ!..
ბოდიში, სიტყვა გამიგრძელდა. გავიგე, რომ თქვენს ტრესტს
ახალი სახელწოდება მიუღია. გისურვებთ ახალ წარმატებებს ღია
ცის ქვეშ ღონისძიებათა ჩატარებაში. იმედი მაქვს, რომ თუ ასე
გაგრძელდა, თქვენც და თქვენს მიმდევრებსაც თბილი კაბინეტები-
დან სუფთა პაერზე გამოვიყვანენ. ამისათვის ალავერდს გადავდივარ
ჭუთაისის ქალაქის საბჭოსთან და საქალაქო და სასოფლო მეურნე-
ობის სამინისტროსთან.

ნინოს დავალებით ს. ფანიანილი

Министерство ССР
ТЕЛЕГРАММА

№ 94

Адрес: **მცხეთა**
ვახრანის, ვაჟა-ფშაველას,
ყაყაბაძის ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში

*მადრიასი. ვაჟა-ფშაველას სახლისათვის
ქვემოთაინი იყოფა, სკოლა ბუნების
მეცნიერებათა და სპორტისათვის
და ქართული არქიტ. აკადემია
და ვაჟა-ფშაველას, ათენა მარტია ატენა
მეცნიერებათა აკადემია ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში*

*აკადემიაში და სკოლაში
და სკოლაში და სკოლაში*

Министерство ССР
ТЕЛЕГРАММА

№ 91

Адрес: **მცხეთა**
ვახრანის, ვაჟა-ფშაველას,
ყაყაბაძის ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში

*აკადემიაში და სკოლაში
და სკოლაში და სკოლაში*

Министерство ССР
ТЕЛЕГРАММА

№ 84

Адрес: **მცხეთა**
ვახრანის, ვაჟა-ფშაველას,
ყაყაბაძის ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში

*აკადემიაში და სკოლაში
და სკოლაში და სკოლაში*

Министерство ССР
ТЕЛЕГРАММА

№ 85

Адрес: **მცხეთა**
ვახრანის, ვაჟა-ფშაველას,
ყაყაბაძის ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში

*აკადემიაში და სკოლაში
და სკოლაში და სკოლაში*

Министерство ССР
ТЕЛЕГРАММА

№ 86

Адрес: **მცხეთა**
ვახრანის, ვაჟა-ფშაველას,
ყაყაბაძის ვანო ქართულ-
ბუნების აკადემიაში

*აკადემიაში და სკოლაში
და სკოლაში და სკოლაში*

მასკინი ვადავონი

ჩამოღობათ „სავარდო და სამაისო“ ქუთაისში და გავიწყდებთ რიონის სადგურზე მატარებლის მოლოდინში განცდილი ნერვიულობა. და, აი, თქვენ გინდათ გაიცნოთ ქუთაისი. აქ არ არის ცნობათა ბიურო. სამაგიეროდ, შეგიძლიათ ჩაატაროთ მოკლევადიანი ექსკურსია ტელეფონით! გაიოცეთ? მოილოდინეთ.



აიღეთ ყურმილი. ვიასუსხებთ ნომერი 7. აუღლებელად დაასახელებთ რომელიმე დაწესებულებას. ვთქვათ — თეატრი. იწყება ექსკურსია ყურმილის მოუშორებლად და ადგილიდან ფეხმოუცვლელად: ჯერ შეგიერთებენ მილიციას. შემდეგ სანებიდსადგურს, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, შემდეგ ვინმე დახუნდარბის ბინას, საიდანაც შეიძლება გაიგონოთ მილიციის ქალიშვილის, ან გამოურთველი რადიო-მინილების ხმა. შემდეგ... და ასე შემდეგ.

რამდენიმე წუთში გონების თვალთ დათვალიერებთ ქალაქის წარმოება-დაწესებულებებს. ღირსშესანიშნავ ადგილებს, გაიგებთ ვის უდგას ტელეფონი. ორიგინალური ექსკურსია! ტელეფონის ყურმილს რომ ტელევიზორის პატარა ეკრანიც ჰქონდეს, შთაბეჭდილებაც სრული იქნებოდა. მაშინ როდის დაგპირდებოდათ ტაქსის დასაქვრად სირბილი, ან ტროლეიბუსში ლელო ბურთის თამაში, ასვლა-ჩამოსვლისას. თუ ტელეფონით „ექსკურსიას“ დროს სატელეფონო სადგურის უფროს გენადი სიხარულით ხმაც მოგესმათ. მაღლობა უთხარით და უსურვეთ მომავალი ასეთივე წარმატებანი.



ვინაშა მოსახება და კალაპოვის რეინერობა

ალბათ რიონსაც გადახედავთ და ნუ გაიკვირვებთ, თუ ერთ დროს წყალუბვი მდინარე ახლა ლელესავით მომდინარე დაინახოთ თეთროდებმა კალაპოტში. ქუთაისელებს აქაც გამოუნახავთ გამოსავალი და კალაპოტის ამოვსებაც წამოუწყიათ... ნავით. რიონის ორივე სანაპიროზე მცხოვრებთ შეჯიბრება აქვე გამოცხადებული—ვინ უფრო მეტ ნავებს ჩაყრის მდინარის კალაპოტში. მცხოვრებლებს წარმოება - დაწესებულების მუშაკებიც არ ჩამორჩებიან და ჯაჭვის ხილიდან—ახალ ხილამდე თვალი ტკებმა ამ მშვენიერი პეიზაჟით. ამობენ, ამ შეჯიბრებაში ყველას გადააქარბა წითელ ხილთან მდებარე საკონდიტრო ფაბრიკამ, და ქუთაისის დასუფთავების ტრესტის საგანგებო მადლობაც დაიმსახურა.



ბარაქალა მათ მოსაზრებას!

შემოსავლიანი მასკინი

ქუთაისი ბაზრებითაც განთქმულია. თქვენც დაინტერესდებით და უთუოდ შეივლით № 1 საკომპლექტო ბაზარში. ბევრ რამეს ნახავთ აქ თვალისთვის გასახარებს და ყნოსვისათვის საამოს, მაგრამ ეცადეთ ბაზრიდან ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩაზე, ფალიაშვილის ქუჩაზე არ გამოხვიდეთ. გამოსასვლელში ჯერ ყურებს გამოგიქვდავენ მეწვრილმანე ქალები, მეცო-სოპრანოთი რომ გაპყვირიან: „სინკა-ლილა“, „ლაშის შუშები“, „ვანილი“, „მარჩიელი“. ხილის და ბოსტნეულის დამპალი ნარჩენები თქვენს ყნოსვას უსიამოდ გააღიზიანებს; შეაქვთ და გამოაქვთ ცარიელი ან სავსე ტომრები, კალათები... და აკრობატული სისწრაფე და მოქნილობა



თუ გიხსნით შენჯღრევისაგან. გამოხვალთ ქუჩაზე და გულიც გეტკინებათ და თვალიც, ბაზრის ნავებს აქ გამოტანილ რომ დაინახავთ. ასე რომ ხუთივე გრძობა გიღიზიანდებათ. თუ ამ დავიდარა-

ბაში გონებაც ჩაერიო—იკითხავთ: რატომ არაა თქვენს მებენ ამ გასასვლელს? ანდა შესაფერი წესრიგი მაინც დაამყარონ და დაიცვან სისუფთავე!

საქმე თურმე იმაშია, რომ გასასვლელის ორივე მხარეს ქუთაქობის სამრეწველო მალაზიებია და დახლის მუშაკები სულელები ხომ არ არიან, რომ ქუჩის სისუფთავისათვის ჯიბე ვაისუფთაონ და გასაუქმებლად ვისმეს დააწებონ ეს შემოსავლიანი გასასვლელი?

ჭარბი და იპორტი

რა იქნებოდა უცხენოდ ქადრაკი? არაფერი. თურმე ცხენიც არ ვარგა უქადრაკოდ. თუ რას ნიშნავს ეს, ქუთაისის საჭადრაკო კლუბს რომ მიადგებით, მაშინ გაიგებთ. როგორც კი საცხენოსნო სპორტის სეზონი დაიწყება, ქადრაკის მოყვარულებმა საჭადრაკო კლუბიდან გუდა-ნაბადი უნდა აიკრან, დაფა—ილიაში, ფიგურები—ჯიბეში, და ჰაიდა, საითაც გენებოთ! სუფთა ჰაერზე გონება უკეთ მუშაობსო, გეტყვიან. აბა ქადრაკის ცხენი, თუნდაც ტროლეთა მიერ გაყვებულ გიგანტური ცხენის ტოლა იყოს, რას გახდება იპორტომის ცხენებთან, მითუმეტეს თუ ამ უკანასკნელთ ფიქსულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტიც უშერს მხარს!



საჭადრაკო კლუბი უცებ გადაიქცევა „ყოვენების“ სასტუმროდ და სასწრაფოდ გაჩნდება ქადრაკის ფიგურებივით ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული საწოლები. ქადრაკის მოყვარული ქუთაისელები კი ბანი-ბან დაეძებენ პარტნიორებს და ზამთრებამდე.

ქუთაისში დიდოსტატი ჯერ არ დაბადებულა. ჰოდა, რაღა საჭიროა მოჭადრაკისათვის სპეციალური ლიტერატურა ან სპეციალური საათები და ჟურნალ-გაზეთები! იმოწმებენ აკაკის მამას როსტომ წერეთელს, რომელიც ულიტერატუროდ და უსპეციალთებოდ კარგად თამაშობდა. განა თავის მართლებისათვის ესეც არ კმარა?

შ. მიძაძე


საუიჩხია—ისპოკიულ სიძველეთა უბანი

ისტორიული ძეგლებით დაინტერესდებით უთუოდ. ნახავთ ბაგრატის ტაძარს, არქიელის გორას, უქიმერიონს... ყველაზე მეტად ისტორიული სიძველის დალი საფიჩხიას ამჩნევია. მას ქალაქის ერთი მეოთხედი უჭირავს და აქ ყველაფერი საგანგებოდაა დაცული წინანდელი სახით. მაგალითად, აქ ვერ შეხვდებით ასფალტოვან ქუჩებს, აყრილ-დაყრილია ფილაქნები; ტროლეიბუსების პარკის დირექციას, ალბათ, ეშინია ამ ორმოებისა და თავის მანქანებს აქეთ არ უშვებს; არ არის სამრეწველო მალაზია, პურის წერტილი... ახლის ნიშნულად ერთადერთი სასურსათო მალაზია ცყოფა საფიჩხიასო, — უფიქრიათ. ისიც, ურემონტობის გამო, მალე გადავა საფიჩხიის სიძველეთა ექსპონატებში. თავს ნუ შეიწყულებთ და ნუ მოძებნით აქ ამბულატორიას, ნავთის წერტს, „სოიუზპეჩატის“ კიოსკებს, აბანოს, ან კინოთეატრს.



ზოგჯერ ლამურების ბუდედ ქვეულ სამრეკლოზე დაკიდებულ რადიოს შეაქვს დისონანსი ამ სიძველეთა რდილიაში, მაგრამ ისიც უმეტესად სდუმს... დღემდე ხელუხლებლად დაცული საკმაო ფართობის მქონე „ხარაზოვის ბაღი“.

გადავლებთ აქაურობას თვალს და იფიქრებთ: ალბათ რამე დააშავეს საფიჩხიაზე მცხოვრებლებმა, რომლებიც ყველა მონაცემების მიხედვით, ნანდვილად თანამედროვე ადამიანები არიან.



პოეზიის რიფსოვაჟი

თუ დიდოსტატი ქადრაკში არა ჰყავთ ქუთაისელებს, სამაგიეროდ პოეზიაში მოევიწყნათ. „ენისა და სტილის უზრალეობა, პოეტური შთაგონების ლაკონიურობა, — ყველაფერი ეს რუსთაველის შემდეგ ა. გურჯიძეშია ხორცშესხმული“. ასე შეაქვს პოეზიის ახალი დიდოსტატი ქუთაისელმა თანამოკალმებმა. ამ ღირსშესანიშნავი აღწევების აღსანიშნავად გუნდარუკმეულმა პოეტმა სურათი გადაიღო ნიანგის ფოტოატელიეში. ვურჩევთ ყველა ახალგაზრდა პოეტს, ფართოდ გამოიყენოს დიდოსტად შერაცხვის ა. გურჯიძისიული მეთოდი. იგი იაფფასიანია და ყოველგვარ მოლოდინს აკარბებს.

კონსტრუქციის

სახლი 32

ნიშნები 32

ნაბ. გ. ლუღუბა



1



2



3

1 ხუვავებულან... სარჩებინ.

2 უფილგან და უფილთობის როლი ბე-
ლენს გაზაფხული თაგის ნიშნებს, მაგალი-
თად, მარადმწვანე მცენარეები ისეთივე მწვა-
ნე რჩება, როგორც ზამთარში იყო. მივილია,
რომ დინამოს სტადიონზე უკან გამოვიდნ-
დებო წელს გაზაფხულს პირველი ნიშანი
და ისე აღარ გაიზრდებო დასაჯდომი ადგი-
ლების რიცხვი, როგორც ეს სურათზეა ნაჩ-
ვენებო.

3 დათბა. ქალაქში მალტოთი გამოსვლა
უკვე აღარ შეიძლება.

4 ქალაქის მოსახლეობა აგარაკებზე წა-
სახვდელად იმზადდება.


5 სოფლებში კი საგზაფხულო თებვა
გაჩაღებული.

6 პირველი ია—ზელი არა გვიჩინა, რაღა მანდამანდ აქ ამოვიდით, ეს
ტრაქტორი მალე დაიძვრება და სულ ერთიანდ გადავყვალავ.
შეორე ია—ნუ გეჩინა, ჩემო ნაზო, პაპაჩენმა ხომ დაგვლოცა: მანამდე იცო-
ცბელი, ხანამ ამ ტრაქტორს შეაკეთებო და უფილიან დასმარავენო.



4

5



6



— მინდოდა თქვენი მეუღლე დაშეხატა.
— თქვენი არ მიკვირს, ის ხომ ისედაც დახატულია!

ბავშვი იმავე წუთში მეტრისმეტრი ჩაბერვისაგან გამსკდარ თავის უფარვის ბურთს წარმოიდგენს და მოკლედ მოკრის:

— გადავადლოთ და აქალი ვიკიდოთ.
ამას შეიძლება ყური მოჰკრას მამამ და ბავშვის ფიზიკური მოუმზადებლობა ბოროტად გამოიყენოს. სამაგიეროდ, შექმნილი სიფრთხილეს გამოიჩენს და აღარ გაიღებება.
ადვილი შესაძლებელია, რომელიმე ოჯახის მამა საწყობის გამგეც იყოს და გამფლანგველიც. კიდევ უფრო ადვილი შესაძლებელია ასეთმა მამიკომ სახელმწიფოს კუთვნილი ათიოდე ყუთი საპონის შექმნოს. გაიგებს ამას ბავშვი და მიმბაძველობით თვითონაც სცდის საპონის ქამას, რასაც არასასურველი შედეგი მოჰყვება წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით. ამან უეჭველად უნდა დააფიქროს მამა თავისი საქციელის დამღუპველ შედეგზე. მაგრამ შესაძლებელია მამა არ დაუფიქრდეს ამ ამბავს და სრულიად მოულოდნელად შეათეჯერ დაიჭირონ. ამასაც გაიგებს ბავშვი და იტყვის:

— ი, დაჭერობანას თამაში არ იცის, სულ მაგას იჭერენ.
მამებო! არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე თქვენგანის შვილი მიუახლოვდეს ბაბუსს (თქვენს მამას) და ჰკითხოს:

— ბაბუ, მამაჩემს რომ ყელში ამოუხევედი და კისერზე დააჯექი, ბევრი გასეირნა?

— რას ამბობ, შვილო?!.
— გუშინ მამამ დათიკო ბიძიას უთხრა, მომამორე ეგ ბერიკაცი, თორემ ყელში ამომივიდა, სამი დღეა ჩემს კისერზე ზისო.

ბაბუს ჩიბუხი უფარდება ხელიდან, მამას კი აგონდება... როგორ კამათობდა ძმასთან, თუ ვინ უნდა არჩინოს ასი წლის მამა, რომელსაც დღეში ერთი კიკა ჩაი და ერთი ნაჭერი პური ჰყოფნის. ერთი, ან რამდენიმე დღის შემდეგ მივა შვილი მამასთან და სერიოზულად ჰკითხავს:

— მამიკო, რატომ არ ღრუტუნებ?

— რატომ უნდა ვიღრუტუნო, შვილო?

— იმიტომ, რომ შენ ღორი ხარ, ასე თქვა ბაბუამ!

რა თქმა უნდა, ასეთი დიალოგის შემდეგ ბავშვს საგრძნობლად უწითლდება ყვრიმალი და ყურის ბიბილოებიც უსივდება. მაგრამ მამა მაინც უფიქრდება თავის საქციელს და გარკვეულ მუშაობას ატარებს გაღორებული ავტორიტეტის აღსადგენად.

დღეებო! ძალიან ადვილი შესაძლებელია ანალოგიური ამბავი თქვენც დაგემართოს: ერთ მშენიერ დღეს მიუახლოვდეს თქვენი შვილი ბებიას (თქვენს დედამთილს) და სთხოვოს:

— ბებო, კული მაჩვენე რა?

ბებოს გაცემისაგან სათვალე გაუფარდება, თქვენ კი გაგახსენდებათ... რომ გუშინ ბავშვის თანადასწრებით ქმარს უთხარით, დედაშენი კუდიანიაო. ერთი, ან რამდენიმე დღის შემდეგ მოვა თქვენთან თქვენივე შვილი, მოგაწოდებთ საპონს და გთხოვთ:

— დედიკო, პირი დაიბანე, თორემ ბებია ამბობს, რომ შენ პირშავი ხარ.

თქვენ აღარაფერი გავონდებათ, პირიქით გავიწყდებათ... და იწყება ოჯახში დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის პოემის „რძალდემამთილიანის“ ინსცენირება.

კიდევ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა იმის შესახებ, თუ რა დიდ საქმიანობას ეწევიან ასეთი ბავშვები მშობლების აღზრდაში, მაგრამ, ვფიქრობ, კმარა.

არ ვიცი, ყველა მშობელზე იმოქმედებს თუ არა ბავშვების აღზრდობითი მუშაობა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში რომ ბავშვების ამ უეჭველად მისასალმებელ საქმიანობას დადებითი შედეგი მოჰყვება, ეს ცხადია.





საყვარელო ბავშვებო! ნუ მოერიდებით იმ სიძნელეებს, რაც ცემაში გამოიხატება, თქვენს მიერ მშობლების აღზრდის დროს.

გახსოვდეთ, თქვენ დიდ, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწეით.

ჯვიაე ღუშაგა

იეროგლიფური ღუშა

რედაქციამ უცნობი პირისაგან გასაშიფრავად მიიღო იეროგლიფური ღუშა, რომელსაც აქვე ვათავსებთ.



ნიანგმა იეროგლიფური ღუშა ასე წაიკითხა:

1. ვიწყობები რიგაში 2. კიდევ დიდხანს ვერ გამოვალ 3. ფული ბევრი დამეხარჯა 4. შედეგი კი არ ჩანს 5. დაპირებით ბევრს მპირდებიან 6. მაგრამ სულ მატყუებენ.



ოველდღე ახალ გამოცანებს მახვედრებს ჩემი პატარა გოგონა, ჩვეულებრივ გამოცანებს, რომლებიც ასე უყვარს მას. გამოცანები ბავშვურია, იოლად ამოსახსნელი, მაგრამ მე მაინც შუბლს ვიჭმუნხნი, თითქოს ღრმად ჩავფიქრდები და, ბოლოს, განგებ, ისეთ მცდარ პასუხს ვეტყვი, რომ ჩემი პატარა ხმამალა ხარხარებს. ასე, ათ სხვადასხვა საგანს ჩამოვთვლი და მხოლოდ მეთერთმეტედ გავცემ სწორ პასუხს.

იმ დღესაც ჩემი გოგონა კარბთან დამხვდა წიგნით ხელში. ყდაზე ამოვიკითხე: «დედა ენა, ნაწილი მეორე, 1955 წელი».

— მამიკო, იმდენი გამოცანები ვისწავლე, იმდენი, რომ შენ ჯერ არ იცი...

პალტოს ვიხდი და ჩემს გოგონას მუხლებზე ვისვამ.

— აბა, მამიკო, რა არის...—მეტიკტიკება იგი და თან სიცილისათვის წინასწარ ემზადება, რადგან იცის, სანამ სწორ პასუხს ვეტყვოდე, ათჯერ მაინც გადაიხარხარებს.

— აბა, მითხარი!—ვეუბნები ღიმილით.

— «ცოცხალია—ბალახსა ძოვს, მოკვდება და—ღვინოსა სვამს?»

«დედა ენის» კაპოკაწები

ვფიქრობ და მინდა ისეთი რამ ვუბასუსო, გამოცანისაგან შორს იდგეს და ჩემმა პატარამაც დიდხანს იცინოს.

— წერო!—ვეუბნები.

— არაა!—იძახის ჩემი გოგონა და სიცილისაგან ლოყები ებერება.

— თივა!—ვიძახი და რას ვხედავ: ჩემი პატარა სერიოზულ სახეს ღებულობს, თავს დაბლა ხრის, მებუტება და ნაწყენი ხმით მეუბნება:

— ასე ჩქარა როგორ გამოიცანია!..

სახტად ვრჩები. ჩემი გოგონა გონს მოსვლას არ მაცლის და ახალ გამოცანას მეუბნება:

— აბა, ეს მითხარი, «დაეკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი»?

ახსნა-განმარტებას ბოლოსათვის ვტოვებ და ამჟამად ისეთ სიტყვას ვეძებ, პასუხისაგან ისე შორს იდგეს, როგორც ცა ღედამიწისაგან.

— თავი!—ვეუბნები და ჩემი პატარაც ხარხარს იწყებს.

— მახათი!—ჩემი შვილი ხარხარს უმატებს.

— წაბლი!—გამბობ და უცებ ხარხარი წყდება. მე გოცეხული შევცქერი პატარას. ნეტავი რა მოუვიდა?

— მართალია!—კვლავ მებუტება იგი.

— აბა, საიდან არის მართალი?—ვეკითხები.

ჩემი გოგონა «დედა ენის» მეასე გვერდზე შლის და «გამოცანების ახსნა»-ზე მითითებს.

რა არ ვუთხარი ჩემს გოგონას, როგორ არ ვეცადე ამეხსნა მისთვის, რომ ეს შეცდომა იყო, რომ ამ შეცდომაში ბრალი «დედა ენის» შემდგენელ თუ გამომცემელ ძიებდა და დეიდებს მიუძღვით, რომ პირველი თხას ნიშნავს და არა თივას, მეორე კი—წყალს და არა წაბლს, მაგრამ ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რადგან ჩემი შვილისათვის წიგნის ავტორიტეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

— გიმი გოგონაიშვილი

ნან. გ. ფირცხალავასი

მობვარე

მოგვარემ მოგვარეს

მოგვარა მოგვარე

და უთხრა:

— მოგვარე მოგვარე.

შენ ხომ შინ და გარეთ

საქმეებს აგვარებ

და მერე რაგვარებს.

კვლავაც გავგახარე:

ამ შენს მოგვარესაც

მოდის, მოუგვარე...

ამ ნდობამ მოგვარეს

სიამე მოგვარა,

მან მიგვრილ მოგვარეს

კი აღარ უგანა...

და

მხოლოდ ამისთვის,

რომ იყო მოგვარე,

კარგა გვარიანი

საქმე მოუგვარა.

* *

დღეს საქმეს დანარჩენ

მოგვარეთ უგვარებს,

პირველ მოგვარესთან

მიგვრილი მოგვარეც.

მ. ქარაჩავა




105
20/14 56

— ამხანაგო თავმჯდომარე, საწყობიდან გადამიყვანეთ, თორემ ღამით თავვეებმა ამიკლეს, რივიანად ველარ გამომიძინია.

თავისებურად გაიგო

ნან. ღონისა



— რატომ გიზით კაბინაში ორი მგზავრი?
— რა ვქნა, მეტი არ დაეცია, ამხანაგო მილიციელო!

რედაქტორი—ვახტანგ კელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 6, ხელმოწ. დასაბ. 29/III-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეკვ. № 382. უფ. 01857 ტირ. 25.000.



ჩამორჩენილი დირექტორის კვარტალური ოცნება